თბილისი, 20.02.2020

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე **ასისტენტ-პროფესორებისა და ასისტენტების** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის (დამტკიცებულია თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 3 თებერვლის #4 დადგენილებით) სხდომის

ოქმი (შემაჯამებელი) N6

სხდომას ესწრებოდნენ:

1. თამარ ზარანდია (თავმჯდომარე);
2. ლავრენტი მაღლაკელიძე (მოადგილე);
3. მორის შალიკაშვილი (მდივანი);
4. ირინე ქურდაძე;
5. თამარ ლაკერბაია;
6. ლელა ჯანაშვილი;
7. გიორგი კახიანი;
8. ნათია ჩიტაშვილი;
9. მარინა გარიშვილი;
10. კობა ყალიჩავა.

დღის წესრიგი:

1. კონკურსში გამარჯვებულების გამოვლენა ფარული კენჭისყრით

საკონკურსო კომისიამ ურთიერთშეაჯერა და შეაფასა პირველი, მეორე, მესამე სხდომა და გასაუბრების შედეგები:

ა) კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით ასისტენტის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა - კონკურსში მონაწილეობდა 2 (ორი) კანდიდატი;

ბ) ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა - კონკურსში მონაწილეობდა 1 (ერთი) კანდიდატი;

გ) სამართლის მეთოდების მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა - კონკურსში მონაწილეობდა 1 (ერთი) კანდიდატი;

დ) სამართლის ისტორიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 3 (სამი) აკადემიური თანამდებობა - კონკურსში მონაწილეობდა 3 (სამი) კანდიდატი;

ე) სამართლის ისტორიის მიმართულებით ასისტენტის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა - კონკურსში მონაწილეობდა 1 (ერთი) კანდიდატი;

ვ) კერძო სამართლის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა - კონკურსში მონაწილეობდა 4 (ოთხი) კანდიდატი;

ზ) კერძო სამართლის მიმართულებით ასისტენტის 5 (ხუთი) აკადემიური თანამდებობა - კონკურსში მონაწილეობდა 11 (თერთმეტი) კანდიდატი;

თ) სისხლის სამართლის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 5 (ხუთი) აკადემიური თანამდებობა - კონკურსში მონაწილეობდა 6 (ექვსი) კანდიდატი;

ი) სისხლის სამართლის მიმართულებით ასისტენტის 4 (ოთხი) აკადემიური თანამდებობა - კონკურსში მონაწილეობდა 5 (ხუთი) კანდიდატი;

კ) საერთაშორისო სამართლის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 2 (ორი) აკადემიური თანამდებობა - კონკურსში მონაწილეობდა 2 (ორი) კანდიდატი;

ლ) საერთაშორისო სამართლის მიმართულებით ასისტენტის 2 (ორი) აკადემიური თანამდებობა - კონკურსში მონაწილეობდა 4 (ოთხი) კანდიდატი.

ა) კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით ასისტენტის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა - კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობდნენ:

1. თამარ ზარანდია (თავმჯდომარე);
2. ლავრენტი მაღლაკელიძე (მოადგილე);
3. მორის შალიკაშვილი (მდივანი);
4. ირინე ქურდაძე;
5. ლელა ჯანაშვილი;
6. გიორგი კახიანი;

7. ნათია ჩიტაშვილი;
8. მარინა გარიშვილი;
9. კობა ყალიჩავა.

კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით ასისტენტის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა:

1. გოგიბერიძე გია
   მომხრე: 0
2. ჯავახიშვილი პაატა
   მომხრე: 9

გადაწყვიტეს:
კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით ასისტენტის 1 (ერთი) აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ჯავახიშვილი პაატა.

ბ) ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა - კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობდნენ:

1. თამარ ზარანდია (თავმჯდომარე);
2. ლავრენტი მაღლაკელიძე (მოადგილე);
3. მორის შალიკაშვილი (მდივანი);
4. ირინე ქურდაძე;
5. ლელა ჯანაშვილი;
6. გიორგი კახიანი;
7. ნათია ჩიტაშვილი;
8. მარინა გარიშვილი;
9. კობა ყალიჩავა.

ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებაით ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა

1. ღვამიჩავა თამარი
   მომხრე: 9

გადაწყვიტეს:
ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთი) აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ღვამიჩავა თამარი („ა“ კატეგორია).

გ) სამართლის მეთოდების მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა - კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობდნენ:

1. თამარ ზარანდია (თავმჯდომარე);
2. ლავრენტი მაღლაკელიძე (მოადგილე);
3. მორის შალიკაშვილი (მდივანი);
4. ირინე ქურდაძე;
5. ლელა ჯანაშვილი;
6. გიორგი კახიანი;
7. ნათია ჩიტაშვილი;
8. მარინა გარიშვილი;
9. კობა ყალიჩავა.

სამართლის მეთოდების მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა

1. ნუცუბიძე მაკა

   მომხრე - 9

გადაწყვიტეს:
სამართლის მეთოდების მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთი) აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ნუცუბიძე მაკა („ა“ კატეგორია).

დ) სამართლის ისტორიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 3 (სამი) აკადემიური თანამდებობა - კონკურსში გამარჯვებულების გამოვლენის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობდნენ:

1. თამარ ზარანდია (თავმჯდომარე);
2. მორის შალიკაშვილი (მდივანი);
3. ირინე ქურდაძე;
4. ლელა ჯანაშვილი;
5. ნათია ჩიტაშვილი;
6. მარინა გარიშვილი;
7. კობა ყალიჩავა.

სამართლის ისტორიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 3 (სამი) აკადემიური თანამდებობა

1. ონიანი სულხანი

   მომხრე - 7

2. ჩაჩანიძე ელზა

   მომხრე - 7

3. ხოფერია მარიამი

   მომხრე - 7

გადაწყვიტეს:

სამართლის ისტორიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 3 (სამი) აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდნენ ონიანი სულხანი („ა“ კატეგორია), ჩაჩანიძე ელზა („ა“ კატეგორია), ხოფერია მარიამი („ა“ კატეგორია).

ე) სამართლის ისტორიის მიმართულებით ასისტენტის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა - კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობდნენ:

1. თამარ ზარანდია (თავმჯდომარე);
2. მორის შალიკაშვილი (მდივანი);
3. ირინე ქურდაძე;
4. ლელა ჯანაშვილი;
5. ნათია ჩიტაშვილი;
6. მარინა გარიშვილი;
7. კობა ყალიჩავა.

სამართლის ისტორიის მიმართულებით ასისტენტის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა

1. წიგნაძე ანა

   მომხრე - 7

გადაწყვიტეს:
სამართლის ისტორიის მიმართულებით ასისტენტის 1 (ერთი) აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა წიგნაძე ანა.

ვ) კერძო სამართლის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა - კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობდნენ:

1. თამარ ზარანდია (თავმჯდომარე);
2. ლავრენტი მაღლაკელიძე (მოადგილე);
3. მორის შალიკაშვილი (მდივანი);
4. ირინე ქურდაძე;

5. თამარ ლაკერბაია;
6. ლელა ჯანაშვილი;
7. ნათია ჩიტაშვილი;
8. მარინა გარიშვილი;
9. კობა ყალიჩავა.

კერძო სამართლის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთი აკადემიური თანამდებობა

1. სვანაძე გიორგი

   მომხრე - 0

2. ცერცვაძე ლაშა

   მომხრე - 0

3. ხარიტონაშვილი ნინო

   მომხრე - 0

4. ჯორბენაძე სერგი

   მომხრე - 8

   ერთი ბიულეტენი გაბათილდა.

გადაწყვიტეს:
კერძო სამართლის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთი) აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ჯორბენაძე სერგი („ბ" კატეგორია).

ზ) კერძო სამართლის მიმართულებით ასისტენტის 5 (ხუთი) აკადემიური თანამდებობა - კონკურსში გამარჯვებულების გამოვლენის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობდნენ:

1. თამარ ზარანდია (თავმჯდომარე);
2. ლავრენტი მაღლაკელიძე (მოადგილე);
3. მორის შალიკაშვილი (მდივანი);
4. ირინე ქურდაძე;
5. თამარ ლაკერბაია;
6. ლელა ჯანაშვილი;
7. ნათია ჩიტაშვილი;
8. მარინა გარიშვილი;
9. კობა ყალიჩავა.

კერძო სამართლის მიმართულებით ასისტენტის 5 (ხუთი) აკადემიური თანამდებობა

1. ამირანაშვილი გიორგი

   მომხრე - 0

2. ბერეკაშვილი დიანა

   მომხრე - 9

3. გაწერელია აკაკი

   მომხრე - 9

4. საძაგლიშვილი დიმიტრი

   მომხრე - 9

5. ეგნატაშვილი დემეტრე

   მომხრე - 9

6. თოხაძე ანა

   მომხრე - 9

7. კვირიკაშვილი თეო

   მომხრე - 0

8. მაჩაიძე ოთარი

   მომხრე - 0

9. ტაკაშვილი სიმონი

   მომხრე - 0

10. ტატანაშვილი თამარი

    მომხრე - 0

11. ხვედელიძე მათე

    მომხრე - 0

გადაწყვიტეს:
კერძო სამართლის მიმართულებით ასისტენტის 5 (ხუთი) აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებულებად გამოვლინდნენ ბერეკაშვილი დიანა, გაწერელია აკაკი, ეგნატაშვილი დემეტრე, თოხაძე ანა, საძაგლიშვილი დიმიტრი.

თ) სისხლის სამართლის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 5 (ხუთი) აკადემიური თანამდებობა - კონკურსში გამარჯვებულების გამოვლენის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობდნენ:

1. თამარ ზარანდია (თავმჯდომარე);
2. ლავრენტი მაღლაკელიძე (მოადგილე);
3. მორის შალიკაშვილი (მდივანი);
4. ირინე ქურდაძე;
5. თამარ ლაკერბაია;
6. ლელა ჯანაშვილი;
7. ნათია ჩიტაშვილი;
8. მარინა გარიშვილი;
9. კობა ყალიჩავა.

სისხლის სამართლის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 5 (ხუთი) აკადემიური თანამდებობა

1. გოგნიაშვილი ნინო

   მომხრე - 9

2. დგებუაძე გიორგი

   მომხრე - 9

3. მეურმიშვილი ბესიკი

   მომხრე - 9

4. ცქიტიშვილი თემური

   მომხრე - 9

5. ხარანაული ლევანი

   მომხრე - 9

6. ხერხეულიძე ირინე

   მომხრე - 0

გადაწყვიტეს:
სისხლის სამართლის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 5 (ხუთი) აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებულებად გამოვლინდნენ გოგნიაშვილი ნინო („ბ" კატეგორია), დგებუაძე გიორგი („ა" კატეგორია), მეურმიშვილი ბესიკი („ბ" კატეგორია), ცქიტიშვილი თემური („ა" კატეგორია), ხარანაული ლევანი („ა" კატეგორია).

ი) სისხლის სამართლის მიმართულებით ასისტენტის 4 (ოთხი) აკადემიური თანამდებობა - კონკურსში გამარჯვებულების გამოვლენის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობდნენ:

1. თამარ ზარანდია (თავმჯდომარე);
2. ლავრენტი მაღლაკელიძე (მოადგილე);

3. მორის შალიკაშვილი (მდივანი);
4. ირინე ქურდაძე;
5. თამარ ლაკერბაია;
6. ლელა ჯანაშვილი;
7. ნათია ჩიტაშვილი;
8. მარინა გარიშვილი;
9. კობა ყალიჩავა.

სისხლის სამართლის მიმართულებით ასისტენტის 4 (ოთხი) აკადემიური თანამდებობა

1. ბერიშვილი თამარი
   მომხრე - 9
2. ოხანაშვილი ანრი
   მომხრე - 9
3. ტატიშვილი მაგდა
   მომხრე -9
4. ჩაკვეტაძე გიორგი
   მომხრე - 9

   პრეტენდენტი გამხიტაშვილი არ გამოცხადდა გასაუბრებაზე. საკონკურსო კომისიისთვის უცნობია გამოუცხადებლობის მიზეზი.

გადაწყვიტეს:
სისხლის სამართლის მიმართულებით ასისტენტის 4 (ოთხი) აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებულებად გამოვლინდნენ ბერიშვილი თამარი, ოხანაშვილი ანრი, ტატიშვილი მაგდა, ჩაკვეტაძე გიორგი.

კ) საერთაშორისო სამართლის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 2 (ორი) აკადემიური თანამდებობა - კონკურსში გამარჯვებულების გამოვლენის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობდნენ:

1. თამარ ზარანდია (თავმჯდომარე);
2. ლავრენტი მაღლაკელიძე (მოადგილე);
3. მორის შალიკაშვილი (მდივანი);
4. ირინე ქურდაძე;
5. ლელა ჯანაშვილი;
6. გიორგი კახიანი;
7. ნათია ჩიტაშვილი;
8. მარინა გარიშვილი;
9. კობა ყალიჩავა.

საერთაშორისო სამართლის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 2 (ორი) აკადემიური თანამდებობა

1. კევლიშვილი მარიამი
   მომხრე -9

2. რუხაძე ნინო

   მომხრე - 9

გადაწყვიტეს:
საერთაშორისო სამართლის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 2 (ორი) აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებულებად გამოვლინდნენ კევლიშვილი მარიამი („ა" კატეგორია), რუხაძე ნინო („ბ" კატეგორია).

ლ) საერთაშორისო სამართლის მიმართულებით ასისტენტის 2 (ორი) აკადემიური თანამდებობა - კონკურსში გამარჯვებულების გამოვლენის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობდნენ:

1. თამარ ზარანდია (თავმჯდომარე);
2. ლავრენტი მაღლაკელიძე (მოადგილე);
3. მორის შალიკაშვილი (მდივანი);
4. ირინე ქურდაძე;
5. ლელა ჯანაშვილი;
6. გიორგი კახიანი;

7. ნათია ჩიტაშვილი;
8. მარინა გარიშვილი;
9. კობა ყალიჩავა.

საერთაშორისო სამართლის მიმართულებით ასისტენტის 2 (ორი) აკადემიური თანამდებობა

1. ალექსიძე თამარი
   მომხრე - 9
2. აღაპიშვილი ირინა
   მომხრე - 0
3. ფიფია საბა
   მომხრე - 0
4. მჭედლიძე ნანა
   მომხრე -9

გადაწყვიტეს:
საერთაშორისო სამართლის მიმართულებით ასისტენტის 2 (ორი) აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებულებად გამოვლინდნენ ალექსიძე თამარი, მჭედლიძე ნანა.

საკონკურსო კომისიის მიერ კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით მიღებული

გადაწყვეტილების დასაბუთება

ასისტენტის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა:

ასისტენტის პოზიციაზე წარმოდგენილ ორივე პრეტენდენტს უდასტურდება გარკვეული უპირატესობა სხვადასხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნასთან მიმართებით.

ასისტენტის პოზიციაზე წარმოდგენილია როგორც დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პრეტენდენტი, ასევე დოქტორანტი. აკადემიური ხარისხის არსებობა წარმოდგენილ საკონკურსო პოზიციაზე იმთავითვე ვერ ჩაითვლება რომელიმე პრეტენდენტის უპირატესობად. აღსანიშნავია, რომ დადგენილი

საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ასისტენტად 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი.

პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასებისას მხედველობაშია მისაღები პრეტენდენტ პაატა ჯავახიშვილის მიღწევები სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ, პაატა ჯავახიშვილი არის თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, რომელსაც აქვს წარმატებები სასწავლო და კვლევით კომპონენტებში და აქტიურადაა ჩართული საფაკულტეტო საქმიანობაში. მას აქვს პედაგოგიური საქმიანობის კარგი გამოცდილება, აქვს პუბლიკაციები და უდასტურდება მონაწილეობა ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციებში. საყურადღებოა მისი სამუშაო გამოცდილება და სწავლებაში მისი ჩართვის უკეთესი შესაძლებლობა. პრეტენდენტმა ჯავახიშვილმა გამოავლინა კონსტიტუციური სამართლის საფუძვლიანი და სისტემური ცოდნა, დედუქციური ანალიზის უნარი, ლოგიკური აზროვნება და თეორიული საკითხების პრაქტიკაში გამოყენების მაღალი კომპეტენცია.

საკონკურსო კომისიის მიერ ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით მიღებული

გადაწყვეტილების დასაბუთება

ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა

პრეტენდენტ თამარ ღვამიჩავასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს მისი პროფესიული გამოცდილება, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და ტრენინგებში, ასევე საგრანტო პროექტებში მონაწილეობა, გამოქვეყნებული პუბლიკაციები (სტატიები, სახელმძღვანელოები) და მისი აქტიური ჩართულობა საფაკულტეტო სასწავლო, საორგანიზაციო და კვლევით საქმიანობაში.

საკონკურსო კომისიის მიერ სამართლის მეთოდების მიმართულებით მიღებული

გადაწყვეტილების დასაბუთება

ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა:

პრეტენდენტ მაკა ნუცუბიძესთან მიმართებით უნდა აღინიშნოს მისი უცხოეთში მიღებული სამართლის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. აღსანიშნავია

პრეტენდენტ ნუცუბიძის პროფესიული გამოცდილება, სამეცნიერო საქმიანობა (არაერთი პუბლიკაცია) და საგრანტო პროექტებში მონაწილეობა, რაც ხელს უწყობს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის განვითარებას.

საკონკურსო კომისიის მიერ სამართლის ისტორიის მიმართულებით მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება

ასისტენტ-პროფესორის 3 (სამი) აკადემიური თანამდებობა:

ასისტენტ-პროფესორის პოზიციაზე წარმოდგენილ სამივე პრეტენდენტს, მარიამ ხოფერიას, სულხან ონიანსა და ელზა ჩაჩანიძეს აქვს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი და აკმაყოფილებს აკადემიური პოზიციისათვის განსაზღვრულ ფორმალურ მოთხოვნებს. ამასთან, თითოეულ მათგანს აქვს გარკვეული უპირატესობა ამა თუ იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნასთან მიმართებით, რაც შესაბამისობაშია საკონკურსო პოზიციისთვის დადგენილ კომპეტენციებთან. მათი არსებული სასწავლო-სამეცნიერო მიღწევებისა და აკადემიური ინტერესების გათვალისწინებით, ყველა მათგანი ავლენს ღირებულ სასწავლო-კვლევით პოტენციალს.

ასისტენტის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა

ასისტენტის პოზიციაზე წარმოდგენილ პრეტენდენტთან ანა წიგნაძესთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ იგი არის თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, მრავალწლიანი პედაგოგიური სტაჟით. ის აქტიურად უწევს ასისტირებას პროფესორებს საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და ეხმარება მათ საფაკულტეტო სასწავლო და საორგანიზაციო საქმიანობაში.

საკონკურსო კომისიის მიერ კერძო სამართლის მიმართულებით მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება

ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და გასაუბრების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები, რაც არსებით საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების მიღებას.

ასისტენტ-პროფესორის პოზიციაზე წარმოდგენილი პრეტენდენტები, სერგი ჯორბენაძე, ლაშა ცერცვაძე და გიორგი სვანაძე განათლება/კვალიფიკაციის კომპონენტში მეტ-ნაკლებად უთანაბრდებიან ერთმანეთს. პრეტენდენტი ნინო ხარიტონაშვილი ასევე ფლობს სამართლის დოქტორის სამეცნიერო ხარისხს, მაგრამ განსხვავებით ზემოაღნიშნული კანდიდატებისაგან, მას არ უფიქსირდება საზღვარგარეთ განათლების მიღების კომპონენტი. პრეტენდენტებს სერგი ჯორბენაძესა და გიორგი სვანაძეს აქვთ უპირატესობა სხვა პრეტენდენტებთან შედარებით პედაგოგიური სტაჟის თვალსაზრისითაც.

პუბლიკაციების კომპონენტში პრეტენდენტებს სერგი ჯორბენაძეს და გიორგი სვანაძეს აქვთ უპირატესობა ნაშრომების სამეცნიერო ღირებულების თვალსაზრისით, თუმცა შეიძლება გამოიკვეთოს სერგი ჯორბენაძის გამოქვეყნებები მაღალრეიტინგულ გერმანულენოვან სამეცნიერო პერიოდიკაში და ასევე მონოგრაფიული ნაშრომები/სახელმძღვანელოები, შესრულებული დამოუკიდებლად და თანაავტორობით. ამასთან, კანდიდატ სერგი ჯორბენაძის კვლევის და საქმიანობის სფერო უფრო დივერსიფიცირებულია, რადგან სამოქალაქო სამართალთან ერთად მოიცავს ქართული რეალობისთვის ახალ, თანამედროვე სფეროებსაც. სერგი ჯორბენაძე ავლენს პრაქტიკული გამოცდილების თეორიული განზოგადებისა და კვლევა-სწავლების პროცესში ინტეგრაციის უნარს. გარდა ამისა, გამორჩეულია სერგი ჯორბენაძის ჩართულობა საუნივერსიტეტო პროცესებში, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა თუ ექსტრაკურიკულურ ღონისძიებებში.

ასისტენტის 5 (ხუთი) აკადემიური თანამდებობა:

ასისტენტის პოზიციაზე წარმოდგენილ თერთმეტივე პრეტენდენტს უდასტურდება გარკვეული უპირატესობა ამა თუ იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნასთან მიმართებით. ამჟამინდელი მიღწევებისა და აკადემიური ინტერესების გათვალისწინებით, ყველა მათგანი ავლენს ზოგად სასწავლო-კვლევით პოტენციალს.

ასისტენტის პოზიციაზე წარმოდგენილნი არიან როგორც დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პრეტენდენტები, ასევე დოქტორანტები. მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური ხარისხის არსებობა ერთსა და იმავე საკონკურსო თანამდებობასთან დაკავშირებით იმთავითვე ვერ ჩაითვლება რომელიმე პრეტენდენტის უპირატესობად.

კანონმდებლობის შესაბამისად ასისტენტის თანამდებობა ფუნქციურად მოიაზრებს სასემინარო და კვლევითი საქმიანობის განხორციელებას პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით. საყურადღებოა, რომ აკადემიური ხარისხის მოპოვების შემდეგ, სამართლის დოქტორს საკუთარი აკადემიური კარიერის გაგრძელება შეუძლია ასისტენტ-პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და პროფესორის თანამდებობაზე. დოქტორანტს, როგორც სტუდენტს, აკადემიურ საქმიანობაში ჩართვა მხოლოდ ასისტენტის პოზიციიდან შეუძლია. ამდენად, მისი აკადემიური ფუნქციის შინაარსით გონივრულია, ასისტენტის თანამდებობას იკავებდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტი, რამეთუ პროფესორთა კატეგორიას განეკუთვნებიან მხოლოდ აკადემიური ხარისხის მქონე ასისტენტ-პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და პროფესორი.

პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასებისას მხედველობაშია მისაღები დოქტორანტი პრეტენდენტების დემეტრე ეგნატაშვილის, დიანა ბერეკაშვილის, ანა თოხაძის, დიმიტრი საძაგლიშვილისა და აკაკი გაწერელიას უპირატესობა სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ, დემეტრე ეგნატაშვილთან მიმართებით უნდა აღინიშნოს მისი გამორჩეული მიღწევები სამეცნიერო-კველვით პროექტებში, უცხოურ საგანმანათლებლო/კვლევით ცენტრებში განხორციელებული კვლევითი და სასწავლო სტიპენდიები, საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციები, პუბლიკაციები და თანაავტორობით შექმნილი მეთოდური ლიტერატურა. ცალკე აღსანიშნავია პრეტენდენტის გამოცდილება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების, მათი პრაქტიკული, კლინიკური კომპონენტების გაძლიერებისა და განათლების სფეროში საექსპერტო საქმიანობის კუთხით. აღსანიშნავია, დემეტრე ეგნატაშვილის წვლილი ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით და საუნივერსიტეტო აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ პროცესებში მონაწილეობის თვალსაზრისითაც. პრეტენდენტი დიანა ბერეკაშვილი გამოირჩევა სწავლების ხანგრძლივი პედაგოგიური სტაჟით, მდიდარი პრაქტიკული, განსაკუთრებით სამოსამართლეო გამოცდილებით და ამდენად, მისი განზოგადებისა და სწავლებაში ჩართვის უკეთესი შესაძლებლობით. ამ მიმართულებით პრეტენდენტის უპირატესობა თანხვედრაშია პრაქტიკული სწავლების კომპონენტის გაძლიერების საფაკულტეტო ხედვასთან. სიღრმისეული პრაქტიკული ცოდნა, ასევე, ძლიერი მხარეა აკაკი გაწერელიასა და დიმიტრი საძაგლიშვილისთვის. ამ უკანასკნელთა უპირატესობა გამოკვეთილია განათლების საკვალიფიკაციო მოთხოვნების ნაწილშიც, რაშიც უნდა მოვიაზროთ საზღვარგარეთ მოპოვებული აკადემიური ხარისხი. ამასთან ერთად, აღსანიშნავია

ანა თოხაძის პოტენციალი საფაკულტეტო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, აგრეთვე, აკადემიური პერსონალის სასწავლო აქტივობის ხელშეწყობის კუთხით, რასაც ამყარებს საზღვარგარეთის საგანამანათლებლო დაწესებულებებთან და კვლევით ცენტრებთან მისი მდიდარი თანამშრომლობის გამოცდილება.

საკონკურსო კომისიის მიერ სისხლის სამართლის მიმართულებით მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება

ასისტენტ-პროფესორის 5 (ხუთი) აკადემიური თანამდებობა:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და გასაუბრების შედეგად მოხდა პრეტენდენტთა საბოლოო შეფასება. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და გასაუბრების ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის პრეტენდენტები მეტ-ნაკლებად თანაბრად შეფასდნენ.

კომისია აღნიშნავს, რომ პრეტენდენტი ლევან ხარანაული გამოირჩევა სისხლის სამართლის სისტემური და სიღრმისეული ცოდნით, რასაც ამყარებს დოკუმენტაციაში წარმოდგენილი სამეცნიერო აქტივობები და გასაუბრების შედეგები. გარდა ამისა, პრეტენდენტი ხარანაული აქტიურად არის ჩართული საუნივერსიტეტო საქმიანობაში, რაც ხელს უწყობს მის მნიშვნელოვან ინტეგრაციას სასწავლო, სამეცნიერო და კვლევით პროცესში. ამავდროულად, ზემოთქმულ დადებით შეფასებას ამყარებს მისი მრავალწლიანი კეთილსინდისიერი პედაგოგიური საქმიანობა. ამასთანავე, პრეტენდენტი ხარანაულის საერთაშორისო ურთიერთობები ხელს უწყობს მის სამეცნიერო განვითარებას.

პრეტენდენტი თემურ ცქიტიშვილი გამოირჩევა სისხლის სამართლის სისტემური და სიღრმისეული ცოდნით, რასაც ამყარებს დოკუმენტაციაში წარმოდგენილი სამეცნიერო აქტივობები და გასაუბრების შედეგები. აგრეთვე, პრეტენდენტის მიერ შესრულებული სამეცნიერო სტატიები და მონოგრაფიები. პრეტენდენტ ცქიტიშვილის მიერ შესრულებული მაღალი ხარისხის მონოგრაფიული ნაშრომების დამსახურებით მას შეუძლია, რომ სტუდენტებს შესთავაზოს მრავალფეროვან საგანთა ჩამონათვალი სისხლის სამართლის აქტუალურ საკითხებზე. ამასთანავე, პრეტენდენტი ცქიტიშვილი მრავალი წლის განმავლობაში აქტიურად არის ჩართული სისხლის სამართლის მიმართულების ყოველდღიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, რაც დასტურდება მის მიერ

(თანა)ორგანიზებული არაერთი საერთაშორისო კონფერენციით. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთქმული პრეტენდენტი გამოირჩევა საერთაშორისო ურთიერთობებით, რაც აისახება უცხოურ სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობაში. კომისიამ ნათლად დაინახა, რომ პრეტენდენტის სამეცნიერო საქმიანობა გამოირჩევა მაღალი კეთილსინდისიერებით, აკადემიური და სამეცნიერო ღირებულებით.

პრეტენდენტი გიორგი დგებუაძე გამოირჩევა სისხლის სამართლის სისტემური და სიღრმისეული ცოდნით, რასაც ამყარებს დოკუმენტაციაში წარმოდგენილი სამეცნიერო აქტივობები და გასაუბრების შედეგები. პრეტენდენტ გიორგი დგებუაძის მიერ შემოთავაზებული საგნები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საუნივერსიტეტო სწავლებისათვის, არამედ მომავალი სამეცნიერო კვლევების განვითარების თვალსაზრისითაც. შესაბამისად, პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული სასწავლო საგნების სპეციფიკური ხასიათის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მისი შენარჩუნება საუნივერსიტეტო სივრცეში. პრეტენდენტი დგებუაძე აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებთან, რისი მნიშვნელოვანი დასტურიც არის მისი ხელმძღვანელობით მოპოვებული მაღალი დონის, კერძოდ, ფოლკსვაგენის ფონდის გრანტი, რომელიც სამ სხვადასხვა უნივერსიტეტში ხორციელდება. კომისიამ გამოყო მისი აქტიური პრაქტიკული საქმიანობაც ბოლო წლების განმავლობაში, რაც ხელს უწყობს პრეტენდენტის მიერ სისხლის სამართლის კაზუისტიკის განვითარებას.

პრეტენდენტები ნინო გოგნიაშვილი და ბესიკ მეურმიშვილი არიან სისხლის სამართლის პროცესის სპეციალისტები. სისხლის სამართლის პროცესში სამართლის დოქტორების ნაკლებობა, მათ შორის ისეთის, რომელსაც აქვს მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება, პრეტენდენტებს სხვა კანდიდატებთან მიმართებაში უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. პრეტენდენტი ნინო გოგნიაშვილი ფაკულტეტს სთავაზობს „კრიმინალისტიკის“ არჩევით კურს, რომელიც ქართული სამეცნიერო სივრცის ერთ-ერთ იშვიათობას წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ მისი თეორიულ-პრაქტიკული გამოცდილება განპირობებულია მრავალწლიანი აქტიური პედაგოგიური საქმიანობით. აგრეთვე, პრეტენდენტის საერთაშორისო ურთიერთობებიც იმსახურებს აღნიშვნას. კომისიამ ნინო გოგნიაშვილის ძლიერ მხარედ ჩათვალა, რომ იგი უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში სტუდენტებს აქტიურად სთავაზობს სამართლის კლინიკას, რითაც ხელს უწყობს მათ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

პრეტენდენტ ბესიკ მეურმიშვილს გააჩნია მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება, რაც ხელს უწყობს თეორიული და პრაქტიკული საკითხების ურთიერთკავშირს,

რითაც ამდიდრებს და მნიშვნელოვანს ხდის საუნივერსიტეტო სწავლებას. ამავდროულად, ზემოთქმულ დადებით შეფასებას ამყარებს მისი მრავალწლიანი კეთილსინდისიერი პედაგოგიური საქმიანობა. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ იგი აქტიურადაა ინტეგრირებული საუნივერსიტეტო სივრცეში.

ასისტენტის 4 (ოთხი) აკადემიური თანამდებობა

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და გასაუბრების შედეგად მოხდა პრეტენდენტთა საბოლოო შეფასება.

პრეტენდენტი მაგდა ტატიშვილი გამოირჩევა მრავალწლიანი პედაგოგიური საქმიანობით. იგი სიღრმისეულად ფლობს სისხლის სამართლის პროცესის ძირითად ინსტიტუტებს, რისი დამსახურებითაც ღირებულ კონტრიბუციას ახორციელებს საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესისათვის. ამასთანავე, პრეტენდენტს აქვს მჭიდრო თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან, რასაც ადასტურებს მის მიერ მოპოვებული სამეცნიერო სტიპენდიები.

პრეტენდენტ ანრი ოხანაშვილთან დაკავშირებით უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ აქვს მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება. იგი გამოირჩევა სისხლის სამართლის სიღრმისეული, სისტემური და მრავალმხრივი ცოდნით. აღნიშნულს ადასტურებს როგორც დოკუმენტაცია აგრეთვე გასაუბრების შედეგიც. გასაუბრებისას პრეტედენტმა ნათლად წარმოაჩინა მზარდი სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი. მის მიერ შესრულებული კომპარატივისტული (უპირატესად გერმანულ სამართალთან) სამეცნიერო ნაშრომები წარმოადგენს ღირებულ კონტრიბუციას პოზიტიურ ქართულ სისხლის სამართალის მეცნიერებაში. ასევე, აღსანიშნავია, პრეტენდენტ ოხანაშვილის აქტიური თანამშრომლობა უცხოურ სამეცნიერო ცენტრებთან. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მისი ინიციატივით შეიქმნა გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი, რომელიც გამოდის გერმანულ და ქართულ ენაზე. კომისიისათვის არსებითად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ პრეტენდენტს მოპოვებული აქვს რამდენიმე მაღალი დონის გრანტი და სტიპენდია.

პრეტენდენტი თამარ ბერიშვილი მრავალი წლის განმავლობაში კეთილსინდისიერად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას იურიდიულ ფაკულტეტზე. პრეტენდენტს აქვს სისტემური ცოდნა სისხლის სამართლის მატერიალურ ნაწილში. აღნიშვნას იმსახურებს ასევე საუნივერსიტეტო საქმიანობაში მისი მრავალწლიანი მონაწილეობა. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში იგი ჩართულია იურიდიულ ფაკულტეტზე არსებული კიოლნისა და შპაიერის

სამაგისტრო პროგრამების ადმინისტრირებასა და განვითარებაში. შესაბამისად, პრეტენდეტს მოპოვებული აქვს მრავალი საერთაშორისო გრანტი და სტიპენდია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მას აქვს მდიდარი საერთაშორისო კავშირები უცხოურ სამეცნიერო ცენტრებთან.

პრეტენდენტ გიორგი ჩაკვეტაძეს აქვს რამდენიმეწლიანი პედაგოგიური გამოცდილება. პრეტენდენტს აქვს სისხლის სამართლის სფეროში სისტემური ცოდნა და გამოირჩევა საკითხებისადმი სიღრმისეული ანალიზის უნარით, რაც დადასტურდა, ასევე, გასაუბრების ეტაპზეც. გარდა ამისა, აღნიშვნას იმსახურებს საუნივერსიტეტო სფეროში მისი მრავალწლიანი საქმიანობა, რაც ხელს უწყობს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო განვითარებას. პრეტენდენტი ჩაკვეტაძე არის რამდენიმე სამეცნიერო-სასწავლო საერთაშორისო სტიპენდიის და გრანტის მონაწილე. მნიშვნელოვანია, რომ იგი თანახელმძღვანელობს კლინიკურ კომპონენტს, იურიდიული დახმარების ბიუროს, რაც თანხვედრაშია პრაქტიკული სწავლების გაძლიერების საფაკულტეტო ხედვასთან. ამასთან, პრეტენდენტი ჩაკვეტაძეაქტიურად მონაწილეობს საუნივერსიტეტო აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ პროცესებში, რაც მისი კანდიდატურის ძლიერ მხარედ უნდა ჩაითვალოს.

საკონკურსო კომისიის მიერ საერთაშორისო სამართლის მიმართულებით საკონკურსო

კომისიის გადაწყვეტილების დასაბუთება

ასისტენტ-პროფესორის 2 (ორი) აკადემიური თანამდებობა:

ასისტენტ-პროფესორის პოზიციაზე წარმოდგენილი ორივე პრეტენდენტი მარიამ კევლიშვილი და ნინო რუხაძე აკმაყოფილებს აკადემიური პოზიციისათვის განსაზღვრულ ფორმალურ მოთხოვნებს. მათ აქვთ მნიშვნელოვანი მიღწევები როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით. მხედველობაშია მისაღები მათი მრავალფეროვანი პედაგოგიური გამოცდილება, კვლევით პროექტებში ჩართულობა და პუბლიკაციები, მათ შორის, სასწავლო-მეთოდური ნაშრომები.

ასისტენტის 2 (ორი) აკადემიური თანამდებობა:

ასისტენტის პოზიციაზე წარმოდგენილ ოთხივე პრეტენდენტს უდასტურდება გარკვეული უპირატესობა სხვადასხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნასთან მიმართებით.

ასისტენტის პოზიციაზე წარმოდგენილია როგორც დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პრეტენდენტი, ასევე დოქტორანტები. აღსანიშნავია, რომ კონკურსისათვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ასისტენტად 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი.

პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასებისას მხედველობაშია მისაღები პრეტენდენტების ნანა მჭედლიძისა და თამარ ალექსიძის უპირატესობები სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ, ნანა მჭედლიძე არის თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, ორი უცხოური უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის ხარისხის მფლობელი. მისი მრავალფეროვანი პროფესიული საქმიანობა თემატურად პირდაპირ უკავშირდება და აძლიერებს მის პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებს ფაკულტეტის საქმიანობას. ნანა მჭედლიძის პრაქტიკული საქმიანობიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებში საექსპერტო და სწავლების/მომზადება-გადამზადების მრავალფეროვანი გამოცდილება სხვადასხვა პროფესიული ჯგუფებისათვის, ასევე საერთაშორისო საგრანტო პროექტების ხელმძღვანელობა. სამეცნიერო აქტივობის კუთხით აღსანიშნავია ნანა მჭედლიძის პუბლიკაციები, მათ შორის, ღირებული სასწავლო-მეთოდური ხასიათის შრომები, რომლებიც განხორციელებულია აკადემიური საქმიანობის პროფილური მიმართულებით. ამ პერსპექტივიდან განსაკუთრებით ფასეულია ნანა მჭედლიძის პროფესიული და სასწავლო-სამეცნიერო გამოცდილების კომბინირებისა და აკადემიურ საქმიანობაში ინტეგრირების უპირატესი შესაძლებლობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დადებითად უნდა შეფასდეს ნანა მჭედლიძის შესაბამისობა დასაკავებელი აკადემიური პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შინაარსის მხედველობაში მიღებით, დადებითად უნდა შეფასდეს დოქტორანტ თამარ ალექსიძის აკადემიური პოზიციისადმი შესაბამისობა, რადგან მას აქვს თემატურად ურთიერთდაკავშირებული, ხანგრძლივი პროფესიული და მრავალფეროვანი პედაგოგიური გამოცდილება, მათ შორის, ინგლისურ ენაზე სწავლების მიმართულებით. პრეტენდენტს ასევე უდასტურდება საერთაშორისო,

საგანმანათლებლო და არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობის, საექსპერტო საქმიანობის გამოცდილება, რასაც თან ახლავს არაერთი სასწავლო მოდულის ავტორობა/თანაავტორობა. პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასებისას მნიშვნელოვანია სასწავლო და კვლევით სტიპენდიების მაჩვენებელი, სახელმძღვანელოს თანაავტორობა და სხვა თემატური პუბლიკაციები. უნდა გამოიყოს, ასევე, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებისა და ტრენინგების წარმართვის გამოცდილება და საუნივერსიტეტო სივრცესთან მყარი კავშირი.

საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილების, პრაქტიკული და აკადემიური (სამეცნიერო-პედაგოგიური) საქმიანობის ხანგრძივობისა და თემატური თავსებადობის კუთხით, ნათლად გამოკვეთილია ნანა მჭედლიძისა და თამარ ალექსიძის უპირატესობა, რაც უდავოდ ადასტურებს პრაქტიკული გამოცდილების სასწავლო-კვლევით პროცესში ინტეგრირებისა და სამეცნიერო მიღწევებით პრაქტიკის გამდიდრების უპირატეს შესაძლებლობას მოცემული პრეტენდენტების შემთხვევაში.

საბოლოოდ, კომისიამ მიიჩნია, რომ ყველა პრეტენდენტი, რომელნიც ფარული კენჭისყრის შედეგად გამარჯვებულად გამოვლინდა ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე სრულყოფილად შეძლებს იურიდიულ ფაკულტეტზე სამეცნიერო-სასწავლო ვალდებულების კეთილსინდისიერ, გულისხმიერ და ჯეროვან შესრულებას.

(ოქმის გასაჩივრება შესაძლებელია საკონკურსო-სააპელაციო კომისიაში გამოქვეყნებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში. მის.: თბილისი, ჭავჭავაძის 1).

კომისიის წევრების ხელმოწერა:

თამარ ზარანდია (კომისიის თავმჯდომარე)----------

ლავრენტი მაღლაკელიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)----------

მორის შალიკაშვილი (კომისიის მდივანი)----------

ირინე ქურდაძე----------

თამარ ლაკერბაია----------

ლელა ჯანაშვილი----------

გიორგი კახიანი----------

ნათია ჩიტაშვილი----------

მარინა გარიშვილი----------

კობა ყალიჩავა ----------